პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 40 (14036) | შაბათი, 17 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

კონფერენციის დარბაზიდან

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის XXXIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები. ეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჭეშმარიტად დიდი დღე იყო. პარტიული, ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა შეეჯამებინათ განვლილი მუშაობის შედეგები და განეხილათ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანები.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია გუშინ დარბაზში, სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა. პირველ სურათზე არიან კონფერენციის დელეგატები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი (მარჯვნივ) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა; მეორე სურათზე — დელეგატები ისმენენ პარტიის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას. მესამეზე — კონფერენციის დელეგატები (მარცხნიდან) კიროვის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი გ. ბიბილეიშვილი, პირველი მექანიკური ქარხნის მტვიფრავი რ. სერგეევა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, კიროვის სახელობის ქარხნის ამწყობთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ფირცხალავა, თბილგვირაბმშენის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ობოლაძე საუბრობენ შესვენების დროს.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIII კონფერენცია

16 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIII კონფერენცია.

კონფერენციის დელეგატებმა აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო კომისია.

კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები ვ. პ. მძავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტაროვა, ა. ტ. სტეჩენკო, რ. ი. ფრუნძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯაფარიძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. ა. შეგარდნაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ბ. აბაშიძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მ. ბუხრაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ბ. ს. ფაშაკიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ა. ბოგინიანშვილი, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი ვ. დ. ბოცირიძე, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ვ. ილურიძე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი ბ. ი. ქადაგიძე, ძველი ბოლშევიკები დ. ვ. ლომაძე და ი. ს. ფრანგულიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ მუშა ნ. მ. პანკოშა, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ა. პაპინაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი თ. პ. სტეპჩენკო, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ი. რ. ხვედელიანი, საკონდიტერო კომბინატის დირექტორი ვ. ს. ებრალიძე, პარტიის ქალაქ თბილისის რაიკომების მდივნები, საწარმოთა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში;

2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში;

3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა;

ბ) სარევიზიო კომისიისა.

დამტკიცდა აგრეთვე კონფერენციის მუშაობის რეგლამენტი.

ტაშის გრიალში შეკრებილთ აირჩიეს კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ დ. მ. მეფარიშვილმა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი დ. ბ. აბუთიძე, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი პ. ს. ტენიშევი, 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ვ. კორშია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ბ. ს. ფაშაკიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი თ. პ. სტეპჩენკო, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ბ. აბაშიძე, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი ბ. პ. სამხარაძე, ქალაქ თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ნ. ხოდელი, პარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ს. ტ. რიგვავა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მ. ბუხრაშვილი, ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი პ. მ. კეთილაძე, სავაჭრო firma „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი ნ. ბ. კორკოშინაძე, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი ვ. დ. ბოცირიძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. ბაბუნია, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ე. კუტუბაძე.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. ვ. ყარყარაშვილმა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIII კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს ვრცელი რეზოლუცია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. კონფერენციამ დაამტკიცა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენცია გადავიდა დღის წესრიგის მესამე საკითხზე — დაიწყო თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების და თბილისის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის არჩევნები.

შესვენების შემდეგ გამოცხადდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების — თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის არჩევნების გამო გამართული ფარული კენჭისყრის შედეგები.

ამით საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIII კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

(საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ვ. ფაჩერბიცკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი დამსახურებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვლადიმერ ვასილის-ძე ფაჩერბიცკი დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1968 წლის 16 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო წარჩინებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ბრძოლებში დაიჭრნენ და წინათ არ მიეღიათ საბრძოლო ჯილდოები.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა ერთი კაცი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 517, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით — 5.477, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 9.231, III ხარისხის დიდების ორდენით — 10.909, მედლით „მამაცობისათვის“ — 23.465, უშაკოვის მედლით — 7 და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 19.016 კაცი.

საბჭოთა სამშობლოს საადარაჯოზე

პრეს-კონფერენცია ფრუნზეს სახელობის საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში

მ. ვ. ფრუნზეს სახელობის საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში 16 თებერვალს გაიმართა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ პრეს-კონფერენციაზე მოიწვია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები. ესწრებოდნენ სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს საელჩოთა სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ატაშეები.

ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა საბჭოთა კავშირის მარშალი, საბჭოთა კავშირის მარშალი მ. ვ. ზახაროვი — შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. მარშალმა ილაპარაკა საბჭოთა არმიის ნახევარსაუკუნოვან სახელოვან საბრძოლო გზაზე და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ამოცანაა საიმედოდ იცავდნენ საბჭოთა ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სხვა სოციალისტურ არმიებთან ერთად უზრუნველყოფდნენ სოციალისტური თანამეგობრობის დაცვასა და უშიშროებას, მტკიცედ იდგნენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

სსრ კავშირი, თქვა მ. ვ. ზახაროვმა, ფართო, კეთილი, სამხედრო დახმარებას უწევს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. საბჭოთა სახელმწიფოსა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე პოზიციამ, მათმა ენერგიულმა ღონისძიებებმა შეაჩერეს ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ხელი შეუშალეს სამხედრო ხანძრის გაფართოებას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა, ინტერნაციონალისტურ სახელმწიფოთა საომარი სამზადისის გაძლიერების პასუხად დადებული ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული საბრძოლო ძალიერება ის მთავარი ძალაა, რომელიც სტაბილურს ხდის ვითარებას ევროპაში.

საბჭოთა რაკეტულ-ატომურ იარაღს დიდი საბრძოლო შესაძლებლობანი აქვს. სტრატეგიული ატომური ძალების სრულყოფას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ისინი შეადგენენ საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვითი ძალიერების საფუძველს, აღნიშნა შემდეგ მ. ვ. ზახაროვმა. დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი საოკეანო, რაკეტულ-ატომურ ფლოტად გადაიქცა.

დასასრულ მარშალმა მ. ვ. ზახაროვმა თქვა: საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავი საყოველთაო სახალხო დღესასწაულია. ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს საბჭოთა შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ განსაკუთრებით ძლიერი და ყოველ წუთს მზად არიან დაიცვან საბჭოთა სამშობლო, მთელი სოციალისტური თანამეგობრობა.

შემდეგ საბჭოთა კავშირის მარშალმა მ. ვ. ზახაროვმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე. (საკდესი).

ხუთწლედი — ვადამდე!

ეს მოხდა გუშინ

ტვიფრვის პროცესი ავტომატიზებულია

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ჩვენი რესპუბლიკის სხვა მრავალრიცხოვან საწარმოებთან ერთად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდა თბილისის ქარხანა „მეკრომრავი“, რომელიც ოთხი სახის საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქციას აწარმოებს ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებს.

ქარხანა მომხმარებელს უგზავნის მეკრომრავებს სარეცხი მანქანებისათვის, ვენტილატორებისათვის ს, იატაკის საწმენდი მანქანებისათვის, უშვებს ფანჯრის მზა ვენტილატორებს.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც განუხრელად იბრძვის საწარმოო პროცესების სრულყოფისათვის, მიმდინარე წელს მეტად ეფექტური ღონისძიებები განახორციელა ტექნიკური პროგრესის გზაზე. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ტვიფრვის პროცესის ავტომატიზაცია, რომელსაც დადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის დამუშავებაში.

გუშინ ქარხანაში უკანასკნელი გამოცდა გაიარა თანმიმდევრული ტვიფრვის პროცესის ავტომატიზაციისათვის განკუთვნილმა დანადგარმა. ცდამ წარმატებით ჩაიარა.

როგორც ქარხნის მთავარმა ინჟინერმა თ. ნოზაძემ აღნიშნა, ტვიფრვის პროცესის ავტომატიზება გაუუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, გამოათავისუფლებს რამდენიმე მუშას, დაზოგავს ელექტროენერგიას და ამჟერ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამასთან საწარმოს მისცემს დიდ-ძალ ეკონომიას.

„კომუნისტის“ კორ.

ქართული კერამიკის გზები

მონრეალის გამოფენაზე „ექსპო-67“ ფართოდ იყო წარმოდგენილი თბილისის კერამიკული კომბინატის სამხატვრო ნაწარმი — ქართული სუვენირები — დოქები, სურები, ჭიქებილები, ხელადები, რომლებსაც დიდი მოწონება ხვდა. გარდა ამისა, კომბინატი უშვებს სანტექნიკურ ნაკეთობებსა და მოსაპირკეთებელ ფილებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში იგზავნება.

კარგად იშრომა გასულ საიუბილეო წელს კომბინატის კოლექტივმა. შრომითი წარმატებებისათვის იგი დაჯილდოებულია რესპუბლიკის საიუბილეო სამახსოვრო დროშით, ხოლო მე-4 კვარტალში მოპოვებული გამარჯვებისათვის — სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

ხუთწლედის მესამე წელიც წარმატებით დაიწყო თბილისის კერამიკის კომბინატში. წარმატებით სრულდება საღებავმისი დაკალება. მაგალითად, ამის წინათ მარტო ერთი დღის განმავლობაში კომბინატმა გამოუშვა 1.300 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, ანუ 100 მეტრით მეტი, ვიდრე დღიური გეგმა ითვალისწინებდა. გამოშვებულია 400 ცალი სანტექნიკური ნაკეთობანი, 1.700 მანეთი ღირებულების სამხატვრო ნაწარმი.

ამავე დღეს მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაიგზავნა 600 სანტექნიკური ქვანძი, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში კი 1.000 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 4.000 მანეთის სამხატვრო ნაწარმი.

მიღწევებში თავისი წვლილი შეაქვთ სამხატვრო ნაწარმის საამქროს მხატვრებს. შემსრულებელ მ. აბუთიძეს, მოსაპირკეთებელი ფილების საამქროს ცვლის ოსტატ გ. შალამბერიძეს, მწნეხაკი ვ. ბატელაშვილს და სხვებს.

გაიმარჯვეს მანქანათმშენებლებმა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა

საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

1967 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგებით სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი.

უბედურებიდან

წყალტუბო. (საკ. კორ.). მშენებლთა და მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს მშრალი და ზეთოვანი საღებავები, საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი, რომელსაც წყალტუბოს ქიმიური ქარხანა უშვებს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ქარხანას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

ქიმიკოსებმა შარშან ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 119 ათასი მანეთის პროდუქცია და მიიღეს 95 ათასი მანეთი ზეგეგმიური მოგება. ხუთწლედის მესამე წლის პირველი თვის დავალებაც ყველა ასორტიმენტის მიხედვით გადამეტებით შესრულეს. იანვარში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 50 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოო დაფლეებს ვადამდე გადაკვარებებით ასრულებენ ლაქ-საღებავების და მშრალი საღებავების საამქროები, რომლებსაც გ. შალამბერიძე და გ. სილაგაძე თავკაცობენ.

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირი

კუთაისი. (საკ. კორ.). კიროვის სახელობის № 4 სამკერვალო ფაბრიკა პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში. ფაბრიკის კოლექტივს, რომელიც საიუბილეო სამახსოვრო დროშას ფლობს, სოციალისტური შეჯიბრების 1967 წლის მეოთხე კვარტალის შედეგებით მიეკუთვნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ქუთაისელმა მკერავებმა კიდევ უფრო მაღალი ტემპი აიღეს ხუთწლედის მესამე წელს, იანვარში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 236 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. დავალებას მთელი ასორტიმენტის მიხედვით გადაამეტეს და 0,9 პროცენტით გაადიდეს პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვება.

ფაბრიკის კოლექტივმა დაიწყო კიდევ ერთი ახალი სახის პროდუქციის — ტყავის შემცვლელებიდან ქალისა და მამაკაცის პალტოების გამოშვება.

ახალი პროდუქცია

გელათი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ტრანსფორმატორების აქაური ქარხანა ერთ წელზე მეტია, რაც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობს.

როგორც ვიუწყებოდით, მეტრანსფორმატორეები ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდან შეუდგნენ ახალი პროდუქციის — 40-ვატიანი გამშვებ-მარეგულირებელი დროსელის სერიულ წარმოებას. სიახლის თვისების მიზნით ქარხანაში დროულად განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. რეკონსტრუქცია გაუკეთდა სანგეკ დაზგებს, დამონტაჟდა დამხმარე კონვეიერი და სხვ.

ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებამ თავისი შედეგი გამოიღო. გელათელმა მეტრანსფორმატორეებმა წარმატებით აითვისეს ახალი პროდუქციის სერიული წარმოება. უკვე დამზადებულია 30 ათასი ცალი 40-ვატიანი გამშვებ-მარეგულირებელი მოწყობილობა. ახლახან ამ პროდუქციის პირველი დიდი პartია გაიგზავნა ბაკოში.



ვეფრკვლოთ ნაკრძალთა სიმდიდრე

ოთხმოც სახელმწიფო ნაკრძალში კანონი იცავს უნიკალურ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს. 15 თებერვალს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა პირველმა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც მიეძღვნა ნაკრძალების საქმიანობის გაუმჯობესების, მათი უძვირფასესი ფაუნისა და ფლორის დაცვას.

მოხსენება წაიკითხა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო ნაკრძალთა განყოფილების უფროსმა ვ. ბ. კოზლოვსკიმ. მან და ბევრმა ორატორმა აღნიშნეს, რომ ნაკრძალთა მუშაკებმა გასწიეს დიდი კვლევითი მუშაობა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამრავლებისა და რაციონალური გამოყენებისათვის. ამის მეშვეობით აღდგენილია და წარმატებით მრავლდება სიასამური, თახვი, დომბა, ბევრი სახეობის ფრინველი და მცენარე.

ამასთან ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენს ნაკრძალთა მეურნეობებს კვლევინდებურად არა აქვთ ერთიანი, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა, ისინი ექვემდებარებიან ცხრამეტ სხვადასხვა უწყებას. თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ უახლოეს ხანში შეიქმნას ერთიანი ცენტრი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ყველა ნაკრძალის მეურნეობის მუშაობას. დადგა დრო აგრეთვე შეიქმნას ბუნების დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. ვ. მაცკევიჩი. (საკდესის კორ.).



მწერალი — ბუნების ქომაგი

ბუნების დაცვა ქვეყნის დაცვაა!

იოსებ ნონეშვილი,
პოეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

◆

გაუმარჯოს უხვსა და მშვენიერს ჩვენს მიწა-წყალს, ედემის ბაღს, სადაც დედამიწის ყველა მცენარე ხარობს, ღმერთის კუთვნილ ადგილ-მამულს, რომელიც ქართველებს გვერგო საცხოვრებლად! — ხშირად მოგვისმენია ასეთი საღღეგრძელოები ექსტაზში შესული თამადისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე ხშირად, ასეთივე გატაცებით როდი გვიფიქრია იმის შესახებ, რომ გაღარიბდა ჩვენი ფლორა და ფაუნა.

განა დასაფიქრებელი არ არის, რომ თევზსავსე ჩვენი ტბები და მდინარეები ბუნების მტრებმა ლამის უთევზურ წყლებად აქციეს?

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წუხდა ვაჟა-ფშაველა, რომ ორაგული, რომლის სახელიც არაგვიდან (არაგული) წარმოსდგება, შემცირდა არაგვში, რადგან მოიჯარადრეები არ ასრულებენ მთავრობის განკარგულებას — გარკვეულ დროს არ იღებენ მდინარეში დაგებულ ფაცერს, რათა თევზს საშუალება მიეცეს თავისუფალი მოგზაურობისაო.

ახლა არაგვში ორაგულს წამლად ვეღარ ნახავთ სწორედ წამლის წყალობით.

მსოფლიოს მრავალ ენაზე ხოხობს „ფაზანი“ ანუ ფაზისური ფრინველი ჰქვია, რადგან ძველმა ბერძნებმა იგი პირველად რიონის — ფაზისის ჭალებში ნახეს და ფაზისური უწოდეს. და დღეს ჩვენი ფაზისით მონათლულ ამ ულამაზეს ფრინველს უხვად შეხვდებით დასავლეთ ევროპის ჭალებსა და ნაკრძალებში, ხოლო თვით მისი სამშობლო რიონის — ფაზისის ჭალებში ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით-და ბუდობს.

ამ ბოლო დროს სახელმწიფოს მიერ მიღებულ მკვეთრ ზომებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი ფლორისა და ფაუნის მოვლა-დაცვის საქმე გაუმჯობესდა. მაგრამ რა მონაწილეობას ვღებულობთ ამ დიდ, ეროვნულ საქმეში, ვისაც კი თავი მოგვაქვს საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტად, საქართველოს ბუნების ქომაგად?

ზოგიერთს ჰგონია, რომ ბუნების დაცვა მარტო სათანადო უწყებათა ანდა ბუნების დაცვის კომისიათა საქმეა.

ყველას, ვისაც კი თავი მოსწონს ჩვენი დალოცვილი ქვეყნის შვილობით, ვისაც გულით უყვარს ჩვენი ბუნება — ეს ჩვენი ეროვნული საუნჯე — უნდა აწუხებდეს ჩვენი ტყეებისა და ველ-მინდვრების, ჩვენი ტბებისა და მდინარეების, ჩვენი ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების ავ-კარგი, ზრუნავდეს, ძალ-ღონეს არ იშურებდეს ამ დიდი და საშვილიშვილო საქმისათვის. მით უფრო ახლა, როდესაც ჩვენში სანადირო თოფი უფრო მეტია, ვიდრე ფრინველ-ნადირი.

გონივრული ნადირობა, ბრაკონიერის უბოროტეს მტრად გამოცხადება ყველა გულშემატკივარი მამულიშვილის საქმეა!

მე გასულდით ევროპისა და ამერიკის მრავალ ნაკრძალში, ხოლო ახლახან რუს მწერალ ს. სმირნოვთან ერთად ვიმყოფებოდი აფრიკაში, მსოფლიოში განთქმულ კენიისა და უგანდის ეროვნულ ნაკრძალებში. სიმართლე გითხრათ, ფრიად გაგვიკვირდა, როდესაც შევიტყეთ, რომ ნადირით სავსე კენიისა და უგანდის მიუვალ ჯუნგლებში საკმაოდ ძვირი ლიცენზიის მიუღებლად არ შეიძლება მავნე ნადირის მოკვლაც-კი, რადგან ამ ქვეყნის მკვიდრნი თავიანთ ფაუნას უდიდეს ეროვნულ სიმდიდრედ სთვლიან.

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, შემდეგ კი ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საქართველოს ნაკრძალთა მოვლა-პატრონობის მდგომარეობა.

დღეისათვის საქართველოში 14 ნაკრძალია 86 ათასი ჰექტარი საერთო ფართობით. პირველი ნაკრძალიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სწორედ საქართველოში — ლაგოდეხში დაარსდა. ამჟამად ლაგოდეხის ნაკრძალში საუცხო პირობებია ჩვენი იშვიათი ფლორისა და ფაუნის მოვლა-დაცვისათვის. მაგრამ ამ კარგ ნაკრძალშიც კი ერთი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა უნებართვო ნადირობის შვიდ შემთხვევას და ტყის თვითნებური ჭრის 18 შემთხვევას. მარტო რიწის სახელმწიფო ნაკრძალში 1967 წელს 32 კუბური მეტრი ხე-ტყე მოიჭრა.

ზოგიერთი კოლმეურნეობის მესვეურნი უხეშად არღვევენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებას და ნებას რთავენ ნაკრძალში აძოვონ საკოლმეურნეო ცხვარი და ნახირი. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა ბორჯომის, რიწისა და ახმეტის ნაკრძალებში. ნაკრძალებში საქონლის ძოვებას მოსდევს იშვიათი ფლორის განადგურება, ნადირ-ფრინველთა საკვების შემცირება, ამავე დროს შინაურ პირუტყვს ავადმყოფობა შეაქვს ნაკრძალში. მაგალითად, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში აღმოჩნდა, რომ ირემს შინაური პირუტყვისაგან ჰქონდა გადადებული დაავადებანი. ძაღლი და თოფიანი მწყემსიც სასურველი სტუმარი როდია ნაკრძალის ბინადართათვის.

ზოგჯერ ორგანიზაციები არღვევენ ნაკრძალში მუშაობის წესებს, ნაკრძალის რეჟიმს. გეოლოგიურმა პარტიამ, რომელიც რიწის ნაკრძალში მუშაობს, არ ამოავსო გათხრილი ღრმა ორმოები, რითაც საფრთხე შეუქმნა არა მარტო ნადირს, იქ მოსიარულე ადამიანებსაც. ლაგოდეხისა და რიწის სახელმწიფო ნაკრძალებში დიდ აფეთქებათა შედეგად მოხდა აქ მობინადრე ფაუნის გადანაცვლება-მიგრაცია რესპუბლიკის მოსაზღვრე ნაკრძალებში.

ჯეროვანი ყურადღება როდი ექცევა საკოლმეურნეო ტყეების მოვლის საქმესაც. ამ ორი დღის წინ — 15 თებერვალს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის სხდომაზე სწორედ ეს საკითხი იქნა განხილული. გასულ წელს მარტო ცხაკაიას რაიონში უნებართვოდ მოიჭრა 1.452 ძირი ხე, ხოლო ქარელის რაიონში 134 კბ. მეტრი ხე-ტყე. იგივე ქარელის რაიონში ბრაკონიერებმა ორჯერ მოწამლეს მდინარე ძამას წყალი. ბუნების მტრებმა თოფით დაჭრეს თევზდაცვის საზოგადო ინსპექტორი ნოდარ შოშიაშვილი, რომელმაც მტკვრის მოწამვლისას დააკავა ისინი. სამწუხაროა, რომ ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ ბოროტმოქმედებს მხოლოდ ფულადი ჯარიმა აკმარა.

ჩვენს ბუნებას დიდ ზიანს აყენებენ ხელგაშლილი ბედოვლათებიც. გუდაუთის რაიონის სოფელ აგარაკის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფოლადისა და ნადნობის ინსტიტუტს ნება დართო ბიჭვინთა-მიუსერის მართლაცდა ულამაზეს, უნიკალურ მიდამოებში დაედგა 18 სტანდარტული სახლი და 7 საწყობი. მანვე ნება მისცა მსხვილი ელექტრონული მანქანების ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროს გაეჩენა იშვიათი მცენარეები და ჩაედგა 40 სტანდარტული სახლი, ორი საწყობი და სასადილო.

ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ერთადერთი როდია.

ქართველი მწერლებისა და ჟურნალისტების ვალია ულმობლად ვამხილოთ პრესის ფურცლებზე ჩვენი ბუნების ხელმყოფნი, ჩვენი ვალია პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეოხებით გავაცნოთ ხალხს ჩვენი ბუნების იშვიათი ძეგლები.

1941 წლამდე გამოდიოდა ჟურნალი „მონადირე“, 1963 წლამდე კი მონადირეთა კავშირის „ბიულეტენი“. აქ ქვეყნდებოდა საინტერესო მასალები, დაწყებული მეცნიერულ-პოპულარული წერილებით, დამთავრებული ბრაკონიერთა სიით, რაც მკითხველთა ცხოველ ინტერესს იწვევდა.

ხომ არ მომწიფდა ამ ჟურნალის აღდგენის საკითხი?

თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ დედა-ბუნებას!

დაე ყველას, ვისაც კი სული წასძღევს აკრძალული ნადირობისაკენ, გაახსენდეს შუქმადლიანი ვაჟას სიტყვები:

ღმერთი გამიწყრეს, თუ კიდევ
ტყეში შევადგა ფეხია,
ნადირის მოსაკლავადა
ვიხმარო რამე ხერხია!

ბუნების დაცვა ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა!

ბუნების დაცვა — ქვეყნის დაცვაა!

პოლკის მეთაური

ბრძოლის ერთი ეპიზოდი

ბილიკებიდან შარაგზებზე

ამბავი სვანეთის გზისა

საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივში შუქი ჩაქრეს. ლამორანგმა ფილმი გაუშვა და ეკრანზე გამოჩნდა ოცდაათიანი წლების ენგურის ხეობა. ბილიკებზე დატვირთულ სახედრებს მოერეკებიან სვანები. უმრთ. ვიწრო და ციცაბო სავალი გზა. უდარდელად, როგორც ათასი წლის წინათ, მოღელავს ენგური.

უცებ აფეთქება დაიწყო. მშენებლები ნიჩბებს ატრიალებენ... სვანეთის ახალ გზაზე სამამულო ავტომობილებმა გაიარეს, ძარაზე ადამიანები სხედან. ხელებს იქნევენ, უსაზღვროა მათი სიხარული...

არქივიდან რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში წავედი. გადავფურცლე ძველი წიგნები და გაზეთები და ასე გავიგე ამბავი სვანეთის გზისა...

ჯერ კიდევ მეფის მთავრობას უცდია მისი გაყვანა 1858, მერე 1910 წლებში, მაგრამ უშედეგოდ. რომანოვების ურემმა ვერა და ვერ მიაღწია სვანეთს, რომელიც კვლავ სტრაბონისა და თამარის დროდან მოქმედი „ეშმაკის ბილიკების“ ამარა დარჩა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1926-1927 წლებში, კაკაესის წითელდროშოვანი არმიის მესნგრეთა ათასეულმა შეძლო საცხენე გზისა და ტელეგრაფის გაყვანა ჭვარიდან მესტიამდე, რისთვისაც შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა.

1929 წლის იანვარში კი დაიწყო სამანქანო გზატაცილის გაყვანა. 1932 წლის 12 ნოემბერს მაგანის ხიდთან ლენტი გაჭრა ფილიპე მახარაძემ. სამეგრელო სვანეთს საავტომობილო გზით დაუკავშირდა. ეს იყო საზვინაშვილო საქმე. „...სვანები სათითოოდ მიდიოდნენ მახარაძესთან, ესალმებოდნენ. მადლობას უხდიდნენ გზისათვის, და მოხუცების თვალებში სიხარულის ცრემლი მოჩანდა — მათ ავტომობილი ნახეს იქ. სადაც ჯერ ურმის თვალს არ გაუვლია...“, წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 1932 წლის 23 ნოემბერს.

ასე შეიჭრა სოციალიზმი სვანეთში...

ამ გზამ საბჭოთა საქართველოს აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე მიხცა: ხე-ტყე, მარმარილო, ბარიტი... საერთაშორისო ტურიზმის კერად აქცია კოშკებისა და მყინვარების ქვეყანა. გზის გაყვანამდე მარტო 1928 წელს სვანეთი ინახულა მხოლოდ 300 კაცმა. ამჟამად სეზონში, ეს ციფრი ასჯერ გაიზარდა.

გავიდა ხანი. სვანეთში კვლავ მხნედ არიან ადამიანები, რომლებსაც ამ გზის გაყვანამდე ურმის ფერსო არ ენახათ და მერე ნახეს ავტომობილი, თვითმფრინავი, ახლახან კი ენგურის ხეობაში 30 კილომეტრზე შეეყიდა მატარებელი. მალე, კაშხალი რომ აშენდება, ორმოც კილომეტრზე წარმოიქმნება ჯვარის ზღვა და ალბათ გემიც გამოჩნდება სვანეთში. მაგრამ... ისტორიული გზა წყლით დაიფარება.

ამიტომ, ტრესტ საქმიდროენერგომშენის საგზაო სამმართველოს № 1 უბანი 1961 წელს ჯვარიდან სვანეთისაკენ ახალი გზის გაყვანას შეუდგა. გზის მშენებლობის უფროსი ავთანდილ ჩალაძე ამბობს:

„ჯვარი-ხაიშის მაგისტრალი ეპოქის შესაფერისი იქნება. სილამაზით მეტოქეობას გაუწევს სოხუმ-სოჭის განთქმულ გზატკეცილს. იგი ენგურჰესის მომავალ კასკადებს აუშენებს“...

იმ დღეს წინსვლა ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა: ნიშნულებს აზუსტებდა მარკშეიდერი მურმან ნადარეიშვილი... გვირაბგამყვანებია თითო წოლხვრელი გაიყვანეს, დავალება 150-200 პროცენტით შეასრულეს. ამფეთქებლები ასაფეთქებელ მასალას ეზიდებოდნენ. მცოცავ კლდეებს აბეტონებდნენ ვანო ბუბაშვილისა და ვანო ბელაშვილის ბრიგადები, მთამსვლელებივით უშიშრად დადიოდნენ სალ ტინზე.

ჭვარიდან ხუბერამდე, ათობით კილომეტრზე, ოთხასი კაცის შრომას წარმართავდნენ სამუშაოთა უფროსი მწარმოებლები: ნოდარ მშვილდაძე, ზურაბ ჭელიძე, ჯონდო ხაინდრავა.

— ტრესტმა ახალი უნივერსალური საბურღი დაზგები გამოგზავნა. ასეთი ამბავი მოიტანა მაშინ საგზაო მექანიზაციის ხელმძღვანელმა ჯონდო გუბელაძემ.

— მისი დანერგვის შემდეგ ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებული იქნება! — სიხარულს ვერ მალავდნენ მშენებლები.

ასეთი მამაცური შრომით გააკეთეს სამამულო ტექნიკას დაუფლებულმა ადამიანებმა ეს დიდი საქმე. სხვანაირად შეუძლებელი იყო 1968 წლის 28 იანვარს გახსნილიყო სვანეთის ახალი ფართო გზა, რომლის მშენებლობის აუცილებლობაზე მრავალგზის წერდა გაზეთი „კომუნისტი“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სვანეთის ახალ ფართო გზას მაინც ვერ შეაფასებ, თუ ამ ციფრებს არ მიიღებ მხედველობაში: მისი სიგანე ძველზე სამჯერ მეტია. ახალი გზის 25 კილომეტრზე მონგრეულია ხუთი მილიონი კუბური მეტრი კლდე-ქანი, ანუ საშუალოდ კილომეტრზე — 200.000 კუბური მეტრი. ჩასხმულია 12.000 კუბური მეტრი ბეტონი. აქ მოხდა საქართველოში ყველაზე დიდი — 120-ტონიანი აფეთქება, რომელმაც წოლიშის მთას ჩამოსტრა 270.000 კუბური მეტრი კლდე და მაგანის ხეობაში წარმოშვა ხელოვნური ტბა. სვანეთის დიდი გზის — ჭვარი-ხაიშის გზის მშენებლობა დიდი საშვილიშვილო საქმეა.

გ. მანია.

* * *

სურათებზე: მარცხნივ თქვენ ხედავთ 1932 წელს გადაღებულ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილი არიან სვანეთის ძველი გზის მშენებლები (სურათი ამოღებულია საქართველოს კინოფოტოფონოარქივიდან); მარჯვნივ — სვანეთის ახალი გზა (ფოტო ავტორისა).

ახალი საბჭოთა მეურნეობები

დუშეთი. (საკ. კორ.). ხუთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა არაგვისპირის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც რვაას ჰექტარამდე სარწყავი ფართობი აქვს. არაგვისპირის მზვარე ადგილებში გაშენდება ათობით ჰექტარი ვაზი და ხეხილი, რითაც მდიდარი ყოფილა ეს მხარე, ალბათ ამიტომ თუ უწოდებდნენ ძველათ ჭოპორტ-ბულაჩაურს „პატარა კახეთს“.

მცხეთა. (საკ. კორ.). ნიჩბისის მერძეველობა-მებოსტნეობის ახალ საბჭოთა მეურნეობაში ერთი წუთითაც არ წყდება შრომის ფერხული, მეურნეობის მთელი კოლექტივი იბრძვის, რათა დიდი გადაჯარბებით შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა. მიმდინარე წელს მეურნეობამ უნდა აწარმოოს 2.030 ცენტნერი რძე, 1.500 ცენტნერი ბოსტნეული და 555 ცენტნერი ხორცი.

სიცოცხლე მწვერვალზე

ქალაქ ონიდან 30 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ჯეჯორის ხეობაში ცაში აზიდულა მთა ლესორა, რომელიც 2.300 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან.

ლესორის საცალფეზო ბილიკებზე წინათ სოფლების ირიხა და ჩორდის მონადირეები დადიოდნენ და არ იცოდნენ, თუ რა სიმდიდრეს მალავდა ეს მთა. აქ 1935 წელს ცნობილმა ქართველმა გეოლოგებმა გ. ძოწენიძემ, ნ. კანდელაკამ და ა. ლალიევმა აღმოაჩინეს ბარიტის საბადოები.

ბარიტის ამოღება 1954 წლიდან დაიწყო. ახლა საპაგროსაბადაგირო გზით ლესორის მთის გულის მაღაროებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება ბარიტით სავსე ვაგონები ირის გამაუზვებელ ფაბრიკაში. საღდანაც ბარიტის კონცენტრატი იგზავნება ჩვენი ქვეყნის ლითოფონის ქარხნებში.

ხუთწლედის ორი წელი ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. ახლა აქ ერთი ფიქრით არიან გამსჭვალული და იბრძვიან იმისათვის, რომ ვადაზე ადრე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანა.

ზურაბ აბრამიშვილი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელია. ბრიგადა დიდი გადაჯარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას. წარმატებით მუშაობენ მაღაროელები ნ. რეხვიაშვილი, ა. გოგრიჭიანი, ი. გოგოლაევი, ნ. სადღობელაშვილი, კ. ნარტყოშვილი, ვ. ხომასურიძე.

მაღაროთსამმართველოს რიგელ უბანზე არ შეხვდებით ახალგაზრდობას — სამთო საამქროებში და ბარიტის გამაუზვებელ ფაბრიკაში, საპაგრო საბაგირო გზაზე, მექანიკურ საამქროებში და სხვაგან, ისინი ყველგან კეთილსინდისიერად მუშაობენ. კომკავშირული ლ. ლომჯანიძე ამას წინათ დაჯილდოვდა ცვლის უფროსად. მისი ცვლა საწარმოო დავალებას 115 პროცენტით ასრულებს. კომკავშირელი ზ. დვალაძე კარგად ათავსებს მაღაროში მუშაობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან. იგი ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

მაღაროელები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების თაობისნობას და გადაწყვეტეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 6 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 3,5 პროცენტით.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება ბარიტის ამოღება.

ა. ბერუჩავი,
საქდენის კორესპონდენტი.

ჩვენი ქვეყნის პურის მრეწველობამ ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე ახალი ტიპის პურის საცხობი ღუმელი შემოიტანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ფირმა „სპეციალ რადებოლის“ „შელ-25“ ტიპის ეს ღუმელები წარმატებით დამონტაჟდა საქართველოს სსრ პურის საწარმოებშიც. გერმანელ სპეციალისტთა მიერ შექმნილი პურის საცხობი ღუმელები მთლიანად ავტომატიზებულია და მაღალი წარმადობითაც გამოირჩევა. გარდა ამისა, მათი მთავარი ღირსება ის არის, რომ ისინი შეუფერხებლად მუშაობენ როგორც ელექტროენერგიით, ისე გაზით და თხევადი საწვავით.

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაამთავრა სსრკ პურის მრეწველობის მუშაკთა სემინარმა. მასში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის პურის წარმოების სპეციალისტები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფირმა „სპეციალ რადებოილის“ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც ინჟინერ-კონსტრუქტორი **ფრედ ბერში** ხელმძღვანელობს.

— გერმანელმა სპეციალისტებმა ჩვენს მუშაკებს გააცნეს პურის საცხობი ახალი ღუმელების დამონტაჟების ზოგიერთი თავისებურებანი და წარმოებაში მათი დანერგვის მეთოდები, — თქვა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში „საქპურტრესტის“ მთავარმა ინჟინერმა **რ. გამსახურდიამ.** — ჩვენ რესპუბლიკის პურის მრეწველობაში გერმანული მარკის ასეთი ღუმელები წარმატებით მუშაობენ. სამი მათგანი დამონტაჟებულია თბილისის № 7 პურის ქარხანაში, რამდენიმე ქუთაისისა და ბათუმის პურის ქარხნებში. ქართველ სპეციალისტებს უკვე გვაქვს სამიეე სახის საწვავზე მომუშავე ასეთი ღუმელების დამონტაჟების გამოცდილება. სწორედ ამიტომ აირჩიეს საკავშირო სემინარისათვის ჩვენი დედაქალაქი.

გერმანელ სპეციალისტთა ჯგუფი ღუმელების საჩვენებელ მონტაჟს ჩაატარებს თბილისისა და ქუთაისის პურის ქარხნებში.

რ. ჭელიძე.

აფხაზეთის საოლქო კარტიულ კონფერენციაზე

15 თებერვალს შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XXX საოლქო კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა ანგარიში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო საოლქო კომიტეტის მიერ ანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, აირჩია პარტიის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

იმავე დღეს გაიმართა ახალარჩეული საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ვ. კობახია, მეორე მდივნად — ა. ძაძუა, მდივნად — მ. ხვიჩია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ფრუნიმ.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული განყოფილების ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე ი. სტარჩენკო.

კითხვა-პასუხის საღამო

პარტიის ადგილების რაიკომის სხდომათა დარბაზში ლექცია თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება“ წაიკითხა პროფესორმა ა. მახარაძემ.

ამავე თემაზე პროფესორმა ა. მახარაძემ ლექცია წაიკითხა კურორტ აბასთუმნის სანატორიუმებში — „ზეკარში“, „ვარძიაში“, „მესხეთსა“ და „არაზინდოში“.

ლ. თუმანიშვილი.

ბრაკონიერთა დახმარებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ცხოვრება

ვიეტნამის მერიდიანზე

გუე ცეცხლის რკალში

ნიუ-იორკი, 15 თებერვალი. (საკდესი). საიგონის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში გაჯფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. დიდაქალაქის გარეუბნებში მოხდა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფებისა და ამერიკის ჯარის ნაწილების შეიარაღებული შეტაკება. ცხარე სროლა იყო ამერიკის შეერთებული შტატების ტანშონიატის სამხედრო-საჰაერო ბაზის რაიონში, სადაც ამერიკის ქვეგანყოფებმა, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, 50-ზე მეტი კაცი დაკარგეს.

ბრძოლებია აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთი პროვინციების რამდენიმე რაიონში. პატრიოტებმა ორჯერ მიიტანეს იერიში ინტერვენტრების პოზიციებზე კუანგჩიში და მოწინააღმდეგეს

ჯერი რეზერვისტებზე მიდგა

ვაშინგტონი, 16 თებერვალი. (საკდესი). პენტაგონი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაცხადონ რეზერვისტთა ნაწილობრივი მობილიზაცია იმ ნაწილების შესაცვლელად, რომლებსაც სამხრეთ ვიეტნამში გზავნიან. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ დეილი ნიუსი“ წერს, შტაბების უფროსთა კომიტეტმა უკვე გაუგზავნა ასეთი ერთგებული შტატების თავდაცვას“.

მასობრივი მიტინგი პატნაში

პატნა, 16 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ნ. მარკოვი იუწყება: აქ განდის სახელობის მოედანზე გუშინ გაიმართა ასიათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ინდოეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის დამთავრებას. პირველი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ი. პელშემ.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე ბულგარეთის, ცეილონის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, მონღოლეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა მეთაურები.

საბჭოთა შემიარაღებული ძალების წინააღმდეგ
დღეები სოციალისტურ ქვეყნებში

ჩვენი ექვიპაჟი საბჭოთა პრემია

გულგარეთი

„საბჭოთა არმიის მდიდარი ტრადიციები და გამოცდილება შთამაგონებელი მაგალითია ჩვენი მებრძოლებისათვის, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის. ბულგარეთის სახალხო მებრძოლები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან საბჭოთა მეომრების მხარდამხარ“ — წერს ერთ-ერთ სტატიაში ბულგარელი ჟურნალისტი, მეორე რანგის კაპიტანი პ. პეტროვი.

და მართლაც, ჯერ კიდევ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის არმიაში ბულგარელი მებრძოლებიც იბრძოდნენ. ბევრი მათგანი შესანიშნავ კომუნისტ მეთაურად აღიზარდა. მათ შორის გენერალ-პოლკოვნიკი ხ. მიხაილოვი, გენერალ-მაიორი ც. როდიონოვი და სხვ. საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ზ. ზახარიევი, არმიის გენერალი პ. პანჩევსკი და ასობით სხვები დიდი სამამულო ომის წლებში ღირსეულად იბრძოდნენ საბჭოთა არმიის რიგებში.

ამ დღეებში ბულგარეთის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართო ადგილს უთმობენ საბჭოთა არმიის ორმოცდაათწლიანი გმირული ისტორიის ამსახველ მასალებს.



კოლონეთის ქალაქ შჩეცინში გაიხსნა სამხატვრო გამოფენა, მიძღვნილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისადმი. აქ ექსპონირებულია 60 ნამუშევარი.

სურათზე: მნახველები ათვალიერებენ გამოფენას.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

პოლონეთი

პოლონეთის არმიის გარნიზონებში ეწყობა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის არმიათა მეგობრობის საღამოები. დიდ ინტერესს იწვევს მოძრავი გამოფენა „საბჭოთა არმიის“ 50 წელი. ამ დღეებში გაიმართება სამეცნიერო - თეორიული სემინარი თემაზე: „საბჭოთა შეიარაღებული ძალების წვლილი და როლი სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში“.

ვარშავაში გამოსცემენ საბჭოთა კავშირის მარშლის ი. კონევის მეუარებს, საბჭოთა კავშირის სამგზის გმირის ა. პოკრიშკინის მოგონებებს დიდ სამამულო ომზე.

უნგრეთი

უნგრეთის სახალხო არმიის ცენტრალურმა კლუბმა მოამზადა მრავალფეროვანი გამოფენა საბჭოთა არმიის საბრძოლო გზის შესახებ ამ 50 წლის მანძილზე, საარმიო ანსამბლმა კი — სპეციალური სადღესასწაულო პროგრამა.

რუმინეთი

„ვოლგაზე“ ბრძოლა კაცობრიობისათვის საბჭოთა არმიის, მთელი საბჭოთა ხალხის ენით უთქმელი გმირობის მკაფიო მაგალითია. მათ ხომ ანტიჰიტლერული კოალიციის ჩარჩოებში თავის მხრებზე გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ნაცისტური გერმანიის განადგურებაში, ბევრი სიხსნელი დაღვარეს ფაშისტური მონობისაგან სოციალისტური სამშობლოსა და კაცობრიობის დასაცავად“, — წერს გაზეთი „აპესარია პატრიეი“, რუმინეთის შეიარაღებული ძალების სამინისტროს ორგანო. საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ სტალინგრად თან და შემდგომმა გამარჯვებებმა 1943-1944 წლებში, აღნიშნავს გაზეთი, „ფართო გამოძახილი ჰპოვა რუმინელ ხალხში და ალფრთოვანებდა მას ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში... ერთობლივ ბრძოლაში დუღაბებიდა ჩვენი ხალხების ძმობა, რუმინეთისა და საბჭოთა არმიების საბრძოლო მეგობრობა“.

ბელეტრისტიკის ლენტიდან

ფინეთი

ქეკონენი კვლავ პრეზიდენტია

ჰელსინკი. (საკდესი). დღეს უ. კ. კეკონენი ხელახლა აირჩიეს ფინეთის პრეზიდენტად ექვსი წლის ვადით.

მან მიიღო ხმების უმრავლესობა — 201 ხმა ამომრჩეველთა 300 ხმიდან. არჩევნები გაიმართა ამა წლის 15-16 იანვარს.

ფინეთის პრეზიდენტად უ. კ. კეკონენის მესამედ არჩევა ქალაქში შევა 1 მარტს. პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას ფინეთის ახალი მთავრობა.

კვიპროსი

პრეზიდენტობის სამი კანდიდატი

ნიკოზია. (საკდესი). კვიპროსის შინაგან საქმეთა სამინისტროში ოფიციალურად რეგისტრირებულია რესპუბლიკის პრეზიდენტობის სამი კანდიდატი. არჩევნები 25 თებერვალს უნდა გაიმართოს, ეს კანდიდატებია არქიეპისკოპოსი მაკარიოსი, დოქტორი ტასოს ეკლოტასი და ალფელ დალის მცხოვრები ლუის ფილიპუ.

საფრანგეთი

უ ტანი ნიუ-იორკს გაემგზავრა

პარიზი, 15 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი დღეს პარიზიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა. საფრანგეთის დედაქალაქში ორი დღის ყოფნის დროს უ ტანი შეხვდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურ წარმომადგენელს მაი ვან ბოს, აგრეთვე საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლსა და საგარეო საქმეთა მინისტრს კუვ დე მიურვილს.

პარიზის დღევანდელი გაზეთები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ შეხვედრების დროს განიხილეს ვიეტნამში მშვიდობის აღდგენის შესაძლო გზები.

საბერძნეთი

ხუნტა არმიას წმენდს

ლონდონი. (საკდესი). ათენის სამხედრო ხუნტა, აძლიერებს საბერძნეთის არმიის წმენდას არასასურველი ოფიცრებისაგან.

დღეს ათენში გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლის შესაბამისად საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დათხოვილია ცხრა უფროსი საზღვაო ოფიცერი, მათ შორის სამი ადმირალი. დათხოვილთა შორის არის საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი ვიცე-ადმირალი დედესი.

ხუნტა ამ ოფიცრებს ბრალად სდებს, რომ ისინი შარშან დეკემბერში მონაწილეობდნენ სახელმწიფო გადატრიალებაში, რომლის მოწყობაც სცადა რომში გაქცეულმა მეფე კონსტანტინემ.

გრცხვენოდეს, ამერიკავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიეტნამში ამერიკელი ჯარისკაცების ხელი უდანაშაულო ხალხის სისხლით არის მოსვრილი, მათ სანდისზეა ვიეტნამელი ბავშვების უმანკო ცრემლი, რომელთა მამები და დედები უმწყალოდ იხოცებიან უცხოელ მომხვდურთა ტყვიით.

ეს სურათი, რომელიც ამოღებულია იტალიურ ჟურნალ „ეპოკადან“, ამერიკელთა სამხედრო ხროვის ბარბაროსობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ვაშინგტონი

მესამე მსოფლიო ომი

ფილიბასტერი

ბოლო ეღება

„ნარკოტიკოლოგია“ — ახალი სგგანი

ბოლო

ბოლო

ბოლო

ბოლო

„ჰუმანური ბომბები“



„დაუკაკიდებელი სტუმარი“,
ნახატი ინგლისურ გაზეთ „მორნინგ სტარიდან“,

ინგლისელი მწერალი.

ლონდონი.

ინგლისელი მწერალი.

ლონდონი.

ინგლისელი მწერალი.

ლონდონი.

ჩვენს ყველა-ჟყველაში

ბჯატკოგინეებენ „კომუნისტისა“ და საქმესის კორესპონდენტები

ალიარება...

ქართველი მეცნიერები სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები არიან

1948 წლიდან 1966 წლამდე არსებობდა რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია. ამას წინათ კი მის ბაზაზე შეიქმნა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ჩვენი ქვეყნის პედაგოგიკური აზროვნების ცენტრი უნდა გახდეს.

სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრების შემდგომობაში შევიდა რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე.

ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პირველი არჩევნები. აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა შორის ორი ქართველი მეცნიერია — თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე და თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი რ. ნათაძე.

ქართველი მეცნიერების არჩევა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად იმ წვლილს აღიარებაა, რომელიც მათ შეიტანეს საბჭოთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის განვითარებაში. (საქდესი).

ნაირ-ნაირი

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში ორჯონიკიძის სახელობის შახტის ტერიტორიაზე გაიხსნა სასურსათო პროდუქტების ახალი უგამყიდველო მაღაზია.

ამას წინათ ოჯოლის კოლმეურნეებმა მიიღეს ახალი სასოფლო კლუბის შენობა, რომლის დარბაზი 300 კაცს იტევს. კლუბს აქვს ოთახები წვრილბრივი მუშაობისათვის.

დიღმი მასივში მეგობრობის პროსპექტზე თბილკოთვალეკრობამ გახსნა ახალი ყვითელმოწყობილი მაღაზია. მაღაზიას აქვს ოთხი სექცია: ბოსტნეულის, ხილის, გასტრონომიული და ხორცის, რომლებიც მრავალ მომხმარებელს იზიდავს.

ცნობის ყულაბა

ყირგიზეთის ტერიტორიაზე

ბიშკეკი. (ტასს). ყირგიზეთის ტერიტორიაზე ბოლო ოცი წლის განმავლობაში 1 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1939 წელს. ამ ოცი წლის განმავლობაში ყირგიზეთში 1 000-ზე მეტ ახალ ინდუსტრიულ საწარმოებ, ელექტროსადგურ, ტრანსპორტ, სოფლის მეურნეობის, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტყავეულ-ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტანსაცმლის, ტან